

დიზელ-გენერატორის შესყიდვის ტენდერი

ტექნიკური მახასიათებლები:

მდგომარეობა	ახალი
ძირითადი სიმძლავრე	მინიმუმ 200 kVA – 160 kW
სარეზერვო (Standby) სიმძლავრე	მინიმუმ 220 kVA – 176 kW
სიხშირე (Hz)	50
ძაბვა	415/230 ვოლტი
მწარმოებელი ქვეყანა, ძრავი და მაკომპლექტებელი ნაწილები	ევროპული-ამერიკული წარმოების სერტიფიკაციით CE
ხმის ჩამხშობი კაბინა	კი
CTI/ATI დატვირთვის გადამცემი პანელი, მოტორიზებული გადამრთველით	კი
ძრავის სიჩქარე	1500 ბრუნი წუთში
საწვავი	<ul style="list-style-type: none"> • სასურველია ავზის მოცულობა უზრუნველყოფდეს მინიმუმ 8 საათიან უწყვეტ მუშაობას; • უნდა გააჩნდეს საწვავის ფიტინგები საწვავის ადგილობრივი და დისტანციური მიწოდებისთვის • სარეზერვო საწვავის ავზიდან გენერატორის ავზში საწვავის ავტომატურ რეჟიმში მისაწოდებლად, გენერატორს უნდა გააჩნდეს დამატებითი საწვავის საქაჩი პომპა
მართვის პანელი	კი
გენერატორის პარამეტრების ცვლილება/რეგულირებისა და გენერატორიდან ინფორმაციის ამოღების საშუალება	კი
მონიტორინგის სისტემა	დისტანციური (ინტერნეტით)
ქსელთან ინტეგრაციისა და მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) გამგზავნი მოდულები; GPRS მოდული	კი
ავტომატური მართვის ფარი (AVR)	კი
გარე ავარიული გათიშვის ღილაკი	კი
დიზელ-გენერატორის ლოკალურად ამუშავების საშუალებები	კი
ძრავი აღჭურვილი უნდა იყოს	<ul style="list-style-type: none"> • ჰაერის ფილტრით • სამანქანო ზეთის გამოსაშვები ვენტილით • ძრავი შევსებული უნდა იყოს სამანქანო ზეთით

	<ul style="list-style-type: none"> • გამაგრებელი სითხის მაღალი ტემპერატურის დროს გათიშვის ფუნქციით • ზეთის დაბალი წნევის დროს გათიშვის ფუნქციით
გაგრძელება აღჭურვილი უნდა იყოს	<ul style="list-style-type: none"> • კომპლექტური რადიატორით • რადიატორით და გამაგრებელი ვენტილატორით • გამაგრებელი სითხის გამოსაშვები ვენტილით • ვენტილატორი, ვენტილატორის ძრავი და ელემენტის დამუხტვის ცვლადი დენის გენერატორი (ალტერნატორი) სრულად უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის სამანქანე მოწყობილობის დირექტივას • გაგრძელების სისტემა სავსე უნდა იყოს გამაგრებელი სითხის წარევით

შესასრულებელი სამუშაოები:

1. ერთი ცალი ახალი გენერატორის მიწოდება და მონტაჟი;
2. დიზელ-გენერატორი უნდა დაკომპლექტდეს ავტომატური გადამრთველი პანელით (CTI/ATI);
3. ავტომატური გადამრთველი პანელიდან (CTI/ATI) მონაცემთა დამუშავების ცენტრის (სასერვეროს) UPS-ებამდე გაყვანილ უნდა იქნას ორი დამოუკიდებელი ელ. სადენი:
 - თითოეული კაბელის სიგრძე: 40 მეტრი;
 - ელ. სადენი კვეთი: 4x185 მმ²;
 - 4 ღერი x 40 გრძივი მეტრი x 2 ტრასა = 320 მეტრი.
4. შესაბამისი ომური წინაღობის დამიწების მოწყობა;
5. ლოგიკური კავშირის აწყობა არსებული დიზელ-გენერატორის ავტომატურ გადამრთველსა (AVR) და ახლად დამონტაჟებულ ავტომატურ გადამრთველს (AVR) შორის;
6. დიზელ-გენერატორის მონტაჟის შემდგომ უნდა მოეწყოს 10 მეტრამდე სიგრძის, სითბოს გამწოვ ცხაურაზე მორგებული საჰაერო არხი;
7. განთავსების ადგილზე შეტანის დროს, ერთ მონაკვეთზე, საჭიროა გენერატორის გადატანა მიწიდან 80სმ სიმაღლისა და 50 სმ სიგანის ბარიერზე/რიგელზე, რისთვისაც საჭირო იქნება სპეც. ტექნიკა (ამწე მექანიზმი).

დამატებითი მოთხოვნები:

1. პრეტენდენტმა ცალ-ცალკე უნდა მოახდინოს დიზელ-გენერატორის მიწოდება/მონტაჟის, ელ. სადენების გაყვანის (თავისი მასალით), საჰაერო არხის მოწყობის ხარჯები;
2. პრეტენდენტმა ფასების ცხრილში უნდა მიუთითოს შემოთავაზებული გენერატორის მოდელი, მწარმოებელი კომპანია და გამომშვები ქვეყანა;

3. მოთხოვნის შემთხვევაში პრეტენდენტმა უნდა შეძლოს ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტების (სერტიფიკატების), შესაბამისობის სერტიფიკატების, დიზელ-გენერატორის ტექნიკური პასპორტის წარმოდგენა;
4. ტენდერში მონაწილე კომპანიას უნდა ჰქონდეს მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება დიზელ-გენერატორების მიწოდება/მონტაჟის საქმიანობაში;
5. დიზელ-გენერატორი უნდა მოემსახუროს მონაცემთა დამუშავების ცენტრს (სასერვეროს); პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს მონაცემთა დამუშავების ცენტრში ელექტროსამუშაოების ჩატარების გამოცდილება;
6. ტენდერში მონაწილე კომპანიას უნდა ჰყავდეს სამონტაჟე საქმიანობის შესაბამისი კვალიფიკაციის სერტიფიცირებული სპეციალისტები;
7. ელექტროსამუშაოების შესრულებისთვის კომპანიას უნდა ჰყავდეს შესაბამისი კვალიფიკაციის სერტიფიცირებული ელექტრიკოსები. სერტიფიკატი გაცემული უნდა იყოს აკრედიტებული ორგანოს მიერ; პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს აკრედიტებული ორგანოს მიერ ელექტრიკოსზე გაცემული სერტიფიკატი;
8. პრეტენდენტ კომპანიას ბრძანებით უნდა უნდა ჰყავდეს დანიშნული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც კონტროლს გაუწევს შრომის უსაფრთხოების საკითხების დაცვას, ზემოთ აღნიშნული სამუშაოების ჩატარების მთელ პერიოდში. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის დანიშვნის ბრძანება და აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატი;
9. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, მიმწოდებელმა კომპანიამ უნდა უზრუნველყოს დიზელ-გენერატორისა და მისი კომპონენტების ტესტირება; უნდა მოხდეს ტესტირების შედეგების დოკუმენტირება; ტესტირება წარმატებულად ჩაითვლება თუ მიღებული შედეგები დაემთხვევა მწარმოებლის ტექნიკური დოკუმენტაციით განსაზღვრულ მნიშვნელობებს;
10. საგარანტიო მოთხოვნები - მინიმუმ 2 წელი